# ჩვენი სოფელი

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველთვიური გამოცემა

ნოემბერი/2015 ▪ N2

ნომერშია:


ინტერვიუ საქართველოში ევროკავშირის ელჩთან, იანოშ ჰერმანთან

გვ. 2

„ნარინჯისფერი რთველი“

გვ. 3

ოთარ დანელიამ IFAD-ის პრეზიდენტს, კანიაო ვანჟეს უმასპინძლა

გვ. 4

სურსათის ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტი მომხმარებლის ინტერესების დაცვაა

გვ. 5

ინტერვიუ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან, ზაზა დოლიძესთან

ნონა ქოზაშვილი – შპს „მექანიზატორის“ კომბაინერი

გვ. 7

ფეიჰოას აგროტექნოლოგია

გვ. 8

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ელ-ფოსტა: infomoa@moa.gov.ge ცხელი ხაზი(+995 32) 247 01 01

www.moa.gov.ge

# იანოშ ჰერმანი:

## მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება

### ინტერვიუ საქართველოში ევროკავშირის ელჩთან, იანოშ ჰერმანთან

2013 წლიდან საქართველოში მიმდინარეობს, ევროპის სამეზობლო ხუთწლიანი პროგრამა სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის (ENPARD), რომელიც ამ სფეროს გამოცოცხლებას ემსახურება. ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროგრამის ბიუჯეტი 52 მლნ ევროს შეადგენს, რომლის გავრცობაც დამატებითი თანხებით იგეგმება. ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში სოფლის მეურნეობის სამინისტრომ წინასწარ განსაზღვრული ვალდებულებები შეასრულა, რისთვისაც ევროკავშირისგან 8 მლნ ევროს ფინანსური მხარდაჭერა მიიღო.

- **რა სახით გაეწევა მონიტორინგი 8 მლნ ევროს საბიუჯეტო დახმარებას? მიღწეულია თუ არა შეთანხმება ევროკავშირსა და მთავრობას შორის საერთო სამოქმედო გეგმის შესახებ ამ თანხის განკარგვასთან დაკავშირებით?**

- საქართველოში სოფლის მეურნეობის სფეროში მიმდინარე მოვლენებს ყურადღებით ვადევნებთ თვალყურს. ENPARD-ის პროგრამის ფარგლებში ჩვენ მუდმივად გვყავს ადგილებზე სოფლის მეურნეობის სფეროს როგორც უცხოელი, ასევე ადგილობრივი ექსპერტები, რომლებიც სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან მუშაობენ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის ეგიდით. ეს გუნდი სამინისტროს მუდმივად აწვდის რჩევებსა და ექსპერტიზის პასუხებს.

ყოველდღიური მხარდაჭერის გარდა, რეგულარულად ჩამოგვყავს უცხოელ ექსპერტთა მისია მდგომარეობის შესაფასებლად - ისინი გადიან კონკრეტულ ლოკაციებზე, ხვდებიან ფერმერებს, სამინისტროს თანამშრომლებს და ამ სექტორში ჩართულ ადამიანებს. რაც შეეხება სულ ახლახან განხორციელებულ საბიუჯეტო დახმარებას, საქართველომ ყველა პუნქტი გადაჭარბებით შეასრულა. მაგალითად, ადგილობრივ ფერმერთა 34 საკონსულტაციო ცენტრის ნაცვლად შეიქმნა 54 ცენტრი, სადაც, სოფლის მეურნეობის სამინისტროს ძალისხმევით, ყოველდღიურად 300-ზე მეტი ექსპერტი მუშაობს. ისინი ყოველდღიურად უზიარებენ ფერმერებს გამოცდილებას და ინფორმაციას აწვდიან სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული სიახლეების შესახებ. მსგავსი სისტემა მანამდე საქართველოში არ არსებობდა.

2016 წელს, 6,5 მლნ ევროს ტრანშის მისაღებად არსებობს პირობები, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს. მაგალითისთვის: პირობა მოიცავს მთავრობის მიერ საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას ფერმერული კოოპერატივების მხარდასაჭერად, აგრეთვე საკონსულტაციო ცენტრების კიდევ უფრო განვითარებას.

- **ყოველივეს გათვალისწინებით, რამდენად წარმატებული შეიძლება იყოს სოფლის მეურნეობა საქართველოში და რა ეტაპზე ვართ?**

- სამწუხაროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობა არასახარბიელო მდგომარეობაშია. მოსავლიანობა ძალიან დაბალია, ფერმერთა შემოსავალი კი მწირი. კვლავაც პრობლემატური საკითხია მიწის რეგისტრაცია, ფერმერების უმეტესობისთვის კვლავაც ხელმიუწვდომელია სათანადო სათესლე მასალები და მიწის გამანოყიერებელი საშუალებები. ამ სფეროს საწყისი პოზიციები ENPARD-ის პროგრამის დაწყებისას ნამდვილად რთული გახლდათ. ნაყოფიერი ქართული სოფლები უმეტესწილად წლობით უყურადღებოდ იყო დარჩენილი. სოფლის მეურნეობის სფეროს, სხვა დარგებთან შედარებით, ცვლილებებისთვის მეტი დრო სჭირდება. ვერც სწრაფი გამოსავალი მოიძებნება. წლები, შესაძლოა, ათწლეულებიც დასჭირდეს მის გაჯანსაღებას. წინ უდიდესი ამოცანაა, რომელიც სოფლის მეურნეობაში პოლიტიკის უწყვეტად და სწორხაზოვნად წარმართვას მოითხოვს, ისევე როგორც დიალოგს ფერმერებთან, რადგან მათი აზრი გახლავთ უტყუარი მაჩვენებელი იმისა, თუ როგორ ხორციელდება პოლიტიკა პრაქტიკაში.

მაგრამ არსებობს საწყისი, იმედისმომცემი ნიშნები და მდგომარეობა უკეთესობისკენ იცვლება. 2014 წელს სოფლის მეურნეობის პროდუქტების შთამბეჭდავი 10%-იანი ზრდა აღინიშნა. მთავრობა სწორი მიმართულებით მიდის და ეს არის გადამწყვეტი. აქვე დავამატებ, რომ ევროკავშირი ძალიან ეხმარება მას წარმატების მიღწევაში.

- **სოფლის მეურნეობის პროდუქციის კუთხით რას შეიძლება მიენიჭოს პრიორიტეტი? როგორია ევროპული ქვეყნების გამოცდილება ამ მიმართულებით?**

- მეტი ინვესტირება და ცვლილებები მთლიანად სფეროს სჭირდება და აქ მხოლოდ ერთი მიმართულების გამოყოფა არ იქნებოდა მართებული. იმაზეა საჭირო ფიქრი, თუ რა საჭიროებების წინაშე დგანან ზოგადად ფერმერები, რა უშლით ხელს მოსავლიანობის ზრდაში. ყოველ ქართველ ფერმერს სჭირდება ეფექტიანი კონტროლის მექანიზმი ვეტერინარიისა და პესტიციდების კუთხით. თითოეულ მათგანს უნდა ჰქონდეს ზუსტი ინფორმაცია საბაზრო ფასებზე.

რაც შეეხება პროდუქციას, გადამწყვეტი მნიშვნელობა გასაღების ბაზარს აქვს. არსებობს ორი უმთავრესი შეკითხვა: რა პროდუქციაზეა ბაზარზე მოთხოვნა და რა პროდუქციის წარმოებისას აქვს ქართველ ფერმერს უპირატესობა? პასუხი ნათელია - საუკეთესო და ყველაზე ხელმისაწვდომი სივრცე საქართველოს შიდა ბაზარი გახლავთ. თქვენ უცხოეთიდან შემოგაქვთ ძირითადი პროდუქცია: ხილი, ბოსტნეული, ამ ყველაფრის მოყვანა კი აქვე შეიძლება.

- **რას გვეტყვით ქართულ რთველსა და ღვინოზე?**

- რთველი და ქართული ღვინო ძალიან მომწონს, მაგრამ ჩემს პირად აზრს ამ შემთხვევაში დიდი მნიშვნელობა არ აქვს. კონკრეტულ ბაზარზე პროდუქციას მომხმარებლის გემოვნების დაკმაყოფილება ამკვიდრებს, მომხმარებელს კი სხვადასხვა ადგილას განსხვავებული გემოვნება აქვს, განსაკუთრებით ღვინოსთან დაკავშირებით. ამიტომ ზოგჯერ ბაზარზე თავის დასამკვიდრებლად საუკეთესო გზა მომხმარებლისთვის იმის მიწოდებაა, რაც მას უკვე მოსწონს.

- **სად ხედავთ ყველაზე დიდ გამოწვევებს?**

- თუ ერთი კონკრეტული გამოწვევის დასახელებას მთხოვთ, მცირე მიწების პრობლემას გამოვყოფდი. ფერმერების უმეტესობა აქ ფლობს 1 ჰა-ზე ცოტა მეტ ნაკვეთს, სამწუხაროდ, ისიც შორი-შორსაა მიმოფანტული. სოფლის მეურნეობა, ნებისმიერი სხვა ბიზნესის მსგავსად, კონკრეტულ ეკონომიკურ გათვლებს მოითხოვს. თუ ფერმერი მუდმივად ვერ აწარმოებს პროდუქციას ერთი და იმავე მოცულობით, თანამედროვე ბაზარზე თავს ვერ დაიმკვიდრებს და იძულებული იქნება, საკუთარი პროდუქცია სეზონურად, მინიმალურ ფასად და მხოლოდ ადგილობრივ ბაზარზე გაყიდოს. ამ შემთხვევაში ფერმერი უდიდესი რისკების წინაშე სრულიად მარტოა და წარმოებისას უამრავი სირთულე ეღობება, იქნება ეს კრედიტის თუ ტექნიკური საშუალებების ხელმისაწვდომობა; ხოლო, როცა წარმოება გამსხვილებულია, რისკებთან გამკლავებაც იოლდება, საჭირო ტექნიკის გამოყენებაც უფრო ადვილია და შესაძლებელი ხდება მეტი და უკეთესი პროდუქციის წარმოება ნაკლები დანახარჯებით. ამიტომაც ბევრ ქვეყანაში მცირე ფერმერები კოოპერატივებს ქმნიან, ხშირად არაერთს, სხვადასხვა მიზნისთვის. ეს მათ ეხმარება ისეთი პრობლემის მოგვარებაში, როგორიცაა მარკეტინგი, შემნახველი მეურნეობები, ტექნიკადანადგარებზე წვდომა... სწორედ ეს არის ძირითადი მიზეზი, რის გამოც ჩვენ, ევროკავშირი, ასე აქტიურად ვუჭერთ მხარს თანამედროვე, ბიზნესზე ორიენტირებულ კოოპერატივებს საქართველოში. კოოპერაცია არის გონივრული გზა, რომლის მეშვეობითაც მცირე ფერმერების პროდუქცია ბაზარზე გავა და მათი შემოსავლებიც გაიზრდება. ამ გზით შესაძლებელია არა მხოლოდ სოფლის მეურნეობის სფეროს განვითარება, არამედ სიღარიბის დამარცხება. საქართველოში დაახლოებით 10 ათასამდე ფერმერი არის ბიზნესზე ორიენტირებული კოოპერატივის წევრი. მჯერა, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი მიღწევაა.

- **სოფლის მეურნეობის სფეროში თქვენი გამოცდილებით რა რეკომენდაციები გექნებათ?**

- წარმოშობით უნგრეთიდან ვარ, მაგრამ დიდი ხანია მის საზღვრებს გარეთ ვცხოვრობ. ნაკვეთი არ მაქვს, მაგრამ მიყვარს მებაღეობა. ჩემი ქვეყანა საუკუნეების მანძილზე მისდევს სოფლის მეურნეობას და პროდუქტების ექსპორტსაც წარმატებით ეწევა. 1990-იან წლებში საბაზრო რეფორმებმა, მიწის პრივატიზაციამ და გლობალურმა კომუნიკაციამ ისინი რთული გამოწვევების წინაშე დააყენა. თუმცა, ეს წარსულს ჩაჰბარდა და ჩვენი ურყევი კურსის ცვლილებების დასანერგად და ევროკავშირის დახმარებით. ზოგიერთმა ქვეყანამ უკეთ გაართვა თავი ამ გამოწვევებს, მაგალითად, პოლონეთმა, ესპანეთმა, ბალტიის ქვეყნებმა, სხვებმაც. საქართველო მოგვიანებით შეუერთდა ამ პროცესს, მაგრამ ყველაფერს აქვს დადებითი მხარე. თქვენ ამჟამად შესაძლებლობა გაქვთ დაასკვნათ, რამ იმუშავა ყველაზე კარგად და რამ არ გაამართლა სხვა ქვეყნებში, რომლებიც სულ რამდენიმე წლის წინ ისეთივე პრობლემების წინაშე იდგნენ, რომელთა გადაწყვეტაც თქვენ ახლა გიწევთ.

# „ნარინჯისფერი რთველი“

საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო და სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიებას ახორციელებს.

**კომპანიები, რომლებიც 1 კგ სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილ მანდარინს არანაკლებ 0.20 ლარად შეისყიდიან, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოსგან 1 კგ მანდარინზე 0.10 ლარის ოდენობის სუბსიდიას მიიღებენ.**

სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის შესყიდვის შემთხვევაში, კომპანიებს საშუალება აქვთ შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის საბრუნავი კომპონენტის ფარგლებში აიღონ კრედიტი, რომლის პროცენტის თანადაფინანსებას სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო განახორციელებს.

მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამის ბიუჯეტი 2 000 000 ლარია. სახელმწიფო პროგრამა 2016 წლის პირველ თებერვლამდე გაგრძელდება.

სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის რეალიზაციის ხელშემწყობ პროგრამაში სამი კომპანია -„Georgian Industrial Asset Management Group“, „TCF GEORGIA“, „GEO-FLOWER“ - მონაწილეობს.

„ნარინჯისფერი რთველის“ ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, ქალაქ ბათუმში გახსნილია შტაბი (მისამართი: ბაქოს ქუჩა N46 ა). ცხელი ხაზი ფუნქციონირებს დილის 9 საათიდან საღამოს 9 საათამდე. დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობა აქვთ დარეკონ და მიიღონ სასურველი ინფორმაცია.

სამრეწველო გადამუშავებისთვის განკუთვნილი მანდარინის რეალიზაციის ხელშეწყობის ღონისძიება 2014 წელსაც განხორციელდა. 2014 წელს პროექტის ბიუჯეტმა 2,000,000 ლარი შეადგინა. პროექტის ფარგლებში შესყიდული არასტანდარტული მანდარინის რაოდენობამ შეადგინა 10,358 ტონა. სუბსიდიის თანხამ კი, 1,035,810 ლარი.

„გაიხსნა საკოორდინაციო შტაბი, რომელიც სრულ მზადყოფნაშია მოსახლეობას მოემსახუროს. შეუფერხებელი მუშაობისთვის და სწრაფი რეაგირებისთვის ამოქმედდება ცხელი ხაზიც. შარშანდელთან შედარებით, წელს მანდარინის მოსავალი გაზრდილია. იმედი გვაქვს, რომ წლევანდელი ციტრუსის სეზონი წარმატებული იქნება. მოსახლეობას არც მოსავლის რეალიზაციის და არც სამრეწველო გადამუშავების ციტრუსის ჩაბარების პრობლემა არ ექნება. სოფლის მეურნეობის სამინისტროს აქტიური მუშაობის შედეგად, წელს ახალი ექსპორტიორი კომპანიების, საექსპორტო მარშრუტების და საბორნე გადაზიდვების დამატება გახდა შესაძლებელი. მნიშვნელოვნად შემცირებულია ტრანსპორტირების ღირებულებები. ექსპორტიორებს შეუძლიათ ისარგებლონ შეღავათიანი აგროკრედიტით, რომელიც სახელმწიფოსგან 50%-იანი გარანტიით იქნება გამყარებული“, - აღნიშნა ოთარ დანელიამ.

მიმდინარე წლის ციტრუსის სეზონზე იმუშავებს ციტრუსის შემფუთავი 30–მდე საწარმო, სადაც პლასტმასის, მუყაოსა და შპონის (ხის) ტარაში პროდუქციის შეფუთვა, პალეტებად შეკვრა და ექსპორტირებისთვის მომზადება მოხდება.

## მანდარინის წარმოების საინვესტიციო შესაძლებლობები

მანდარინი საქართველოს აგრობიზნესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან კულტურას წარმოადგენს, რომლის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, აუცილებელია კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ადგილობრივი ასორტიმენტის გაუმჯობესება.

ქვეყანაში მანდარინის წარმოების ხელშეწყობისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ადრეული სიმწიფის, ყინვაგამძლე, მაღალპროდუქტიული ჯიშების გავრცელებას, რაც საშუალებას მოგვცემს მივიღოთ ხარისხიანი და კონკურენტუნარიანი ნაყოფი.

საქართველოში მანდარინის მწარმოებელი რეგიონებია: აჭარა, გურია და სამეგრელო.

### წარმოება წლების მიხედვით (ტონა)




### წარმოება რეგიონების მიხედვით




### საინვესტიციო შესაძლებლობები

- ახალი ჯიშების ნერგების წარმოება
- წარმოების საშუალებების მიწოდება (მცენარეთა დაცვის საშუალებები, სასუქები და სხვა)
- ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების მიწოდება კლიმატკონტროლირებადი სასაწყობო მეურნეობებისთვის
- სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარებისა და ხელსაწყოების მიწოდება
- გადამამუშავებელი მოწყობილობებისა და ტექნოლოგიების მიწოდება
- სატვირთო გადაზიდვების მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- მანდარინის ინტენსიური ბაღების გაშენება
- პროდუქციის შენახვისთვის მომსახურების მიწოდება, რომელიც აღჭურვილია კლიმატკონტროლირებადი სისტემებით
- დამატებითი ღირებულების შესაქმნელად მომსახურების მიწოდება
- პირველადი და გადამუშავებული პროდუქციისთვის შესაფუთი მასალების წარმოება (ყუთები, ქილები და სხვა)

### ძირითადი სავაჭრო პარტნიორები




## ბაზრები

### დარგვის და მოსავლის აღების პერიოდები

| თვეები | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | IX | X | XI | XII |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დარგვა | | | | | | | | | | | | |
| მოსავლის აღება | | | | | | | | | | | | |

### ექსპორტი თვეების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი

### ექპორტ-იმპორტი წლების მიხედვით (1000 აშშ დოლარი)




წყარო: საქსტატი

### საცალო საბაზრო ფასები თვეების მიხედვით - 2014 (ლარი/კგ)




წყარო: საქსტატი

| ფინანსური მაჩვენებლები* | |
|---|---|
| ფართობი (ბაღი) | 1 ჰა |
| საწყისი საინვესტიციო კაპიტალი | 13 390 ლარი |
| უკუგების პერიოდი | მე-7 წელი |
| IRR (8 წელი) | 11 % |

* მაჩვენებლები ეყრდნობა პირობით გათვლებს და გაანგარიშებულია 2015 წლის იანვარ-თებერვალში არსებული მონაცემების საფუძველზე

# კანიაო ვანჟე: „2016 წლიდან საქართველოში IFAD-ის ინვესტიციები 30 %-ით გაიზრდება“

2015 წლის 9-11 ნოემბერს, სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) პრეზიდენტს, კანიაო ვანჟეს უმასპინძლა. აღსანიშნავია, რომ ფონდის პრეზიდენტი ამიერკავკასიის რეგიონში და, შესაბამისად, საქართველოში პირველად იმყოფებოდა.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი, რომელიც საქართველოში 1997 წლიდან საქმიანობს, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დონორია საქართველოს სოფლის მეურნეობის სისტემაში. დღეისათვის ფონდს განხორციელებული აქვს 4 პროექტი, საერთო ღირებულებით 120 მლნ აშშ დოლარი.

ამჟამად, ფონდი ახალ ოთხწლიან პროექტს - „სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზრებზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი“ - აფინანსებს, საერთო თანხით 19 მლნ აშშ დოლარი. პროექტის მიზანი სოფლად მოსახლეობის შემოსავლების ზრდაა. პროექტი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება/გადამუშავება/რეალიზაციის მთლიანი ჯაჭვის ხელშეწყობას ითვალისწინებს.

ვიზიტის ფარგლებში პირისპირ შეხვედრა გაიმართა სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტსა და სოფლის მეურნეობის მინისტრს შორის.

სამინისტროში გამართული შეხვედრების დასრულების შემდეგ, სოფლის მეურნეობის მინისტრმა, ოთარ დანელიამ და IFAD-ის პრეზიდენტმა, კანიაო ვანჟემ ერთობლივი პრესკონფერენცია გამართეს.

პრესკონფერენციაზე ოთარ დანელიამ ხაზგასმით აღნიშნა IFAD-ის პრეზიდენტის სტუმრობის განსაკუთრებული მნიშვნელობა და განმარტა, რომ აღნიშნული ვიზიტი საქართველოს სოფლის მეურნეობის სექტორის მხარდაჭერას ემსახურება.

„სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდი საქართველოში წლების განმავლობაში ახორციელებს მნიშვნელოვან პროგრამებს და სასოფლო-სამეურნეო სექტორის განვითარებაში დიდი წვლილი აქვს შეტანილი. IFAD-ის დახმარებით განხორციელდა სამელიორაციო, სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის და სოფლად სიღარიბის დაძლევის პროგრამები. მომავალში ფონდისგან დიდი ფინანსური თანადგომა გვექნება და თანამშრომშრომლობა უფრო ინტენსიური გახდება“, - განაცხადა ოთარ დანელიამ.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ვიზიტი ფონდის მიერ განხორციელებული პროექტების მიმდინარეობის ადგილზე გაცნობასა და IFAD-ს მხარდაჭერით სამომავლო პროექტების განხილვას ემსახურება.

„ჩვენ საქართველოში 1997 წლიდან ვახორციელებთ ინვესტიციას. მისასალმებელია, რომ ამჟამინდელმა მთავრობამ სოფლის მეურნეობა პრიორიტეტულ დარგად გამოაცხადა. რაც ხელს უწყობს სექტორის სწარაფ და ეფექტიან განვითარებას. ჩვენმა ერთობლივმა მუშაობამ კონკრეტული შედეგები მოიტანა: რეაბილიტაცია ჩაუტარდა 63 კმ სიგრძის საირიგაციო არხს. რეაბილიტაციის შედეგად დამატებით გასარწყავიანდა დაახლოებით 11 000 ჰა ფართობი, გაძლიერდა სახელმწიფო ინსტიტუტები, მათ შორის სურსათის ეროვნული სააგენტო; გაიზარდა ფერმერების შემოსავალი; სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება/გადამუშავება/რეალიზაციის მთლიანი ჯაჭვის ხელშეწყობა, და განხორციელდა კლიმატგონივრული სოფლის მეურნოების ხელშეწყობის პროგრამა. ჩვენ მომავალშიც გავაგრძელებთ სოფლად მცხოვრები მოსახლეობის მხარდაჭერას. **მინდა დადებითად შევაფასო მთავრობის მუშაობა პროექტების განხორციელების კუთხით. ვფიქრობ, საქართველოში ჩვენი ინვესტიციების განხორციელების ხარისხი ნამდვილად წარმატებული თანამშრომლობის მაგალითია“,** - აღნიშნა IFAD პრეზიდენტმა, კანიაო ვანჟემ.

ვიზიტის ფარგლებში, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) პრეზიდენტი სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების: სურსათის ეროვნული სააგენტოს, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ოფისები დაათვალიერა და აღნიშნული უწყებების საქმიანობებს ადგილზე გაეცნო.

კანიაო ვანჟემ, ოფიციალური დელეგაციის წევრებთან ერთად, ჯიღაურას ვაზისა და ხეხილის წარმოების ეროვნული ცენტრიც დაათვალიერა.

კვლევითი ცენტრის დათვალიერების შემდეგ, სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის პრეზიდენტმა, კანიაო ვანჟემ მცხეთის მუნიციპალიტეტში - ბულაჩაურში, წიკლანსა და ძალისში IFAD-ის მიერ დაფინანსებული სამელიორაციო სისტემის აღდგენილი სათავე-ნაგებობები და სარწყავი არხები მოინახულა. განხორციელებული პროექტით წყალუზრუნველყოფილი გახდა 4 912 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობი. პროექტის ღირებულებამ 5 873 750 ლარი შეადგინა. შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალურმა დირექტორმა, ლევან დვალმა IFAD-ის პრეზიდენტს საქართველოში ფონდის დაფინანსების ფარგლებში განხორციელებული და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

კანიაო ვანჟე ადგილბრივ მოსახლეობასაც შეხვდა და სარწყავი სისტემის რეაბილიტაციით მიღებულ პოზიტიური შედეგების შესახებ მოისმინა ინფორმაცია.

„საინტერესო და ნაყოფიერი იყო ჩემი ვიზიტი რეგიონში. მცირემიწიანი ფერმერების ხელშეწყობისა და მეწარმეობის განვითარების კუთხით საქართველომ მნიშვნელოვან პროგრესს მიაღწია. მისასალმებელია IFAD-ისა და საქართველოს პარტიორული ურთიერთობების კონტექსტში დარგის განვითარების მიზნით განხორციელებული წინსვლა. მინდა აღვნიშნო, რომ ოცი წლის უმოქმედობის შემდეგ, წარმატებით მიმდინარეობს სარწყავი სისტემების რეაბილიტაციის პროექტი“, - განაცხადა კანიაო ვანჟემ.

სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) პრეზიდენტის, კანიაო ვანჟეს განცხადებით, საქართველოში, 2012 წლიდან, აგრარული დარგის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები და წინსვლა განხორციელდა.

„პირველ რიგში მადლობა მინდა გადავუხადო სოფლის მეურნეობის მინისტრს მოწვევისთვის და ხაზგასმით აღვნიშნო, რომ, ეს არის თანამშრობლობის საუკეთესო მაგალითი. ჩვენ მივესალმებით დარგის განვითარების კუთხით თქვენს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ინვესტიციების შემდეგი ნაკადი, რომლიც 2016 წელს იწყება, 30 %-ით გავზარდოთ“, - განაცხადა ფონდის პრეზიდენტმა, კანიაო ვანჟემ.

**სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდის (IFAD) პრეზიდენტის, კანიაო ვანჟეს ვიზიტის ფარგლებში, შეხვედრა შედგა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან, ირაკლი ღარიბაშვილთან.**

**შეხვედრაზე საუბარი შეეხო IFAD ურთიერთობების გაღრმავების პერსპექტივებს.**

**ირაკლი ღარიბაშვილმა მადლობა გადაუხადა კანიაო ვანჟეს საქართველოში გაწეული საქმიანობისთვის.**

**მთავრობის მეთაურმა საქართველოს ხელსაყრელ გეოგრაფიულ მდებარეობას გაუსვა ხაზი და აღნიშნა, რომ საქართველო მოიაზრება როგორც ე.წ. რეგიონალური ჰაბი, რომელიც ისტორიულად რამდენიმე სახელმწიფოს ერთმანეთთან აკავშირებს.**

# სურსათის ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტი მომხმარებლის ინტერესების დაცვაა

**ინტერვიუ სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსთან, ზაზა დოლიძესთან**

**- „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ (DCFTA) შეთანხმების ამოქმედებიდან ერთ წელზე მეტი გავიდა. შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი სურსათის უვნებლობის, ვეტერინარულ და ფიტოსანიტარიულ საკითხებზე მოდის. ბატონო ზაზა, რა ღონისძიებები განახორციელა სურსათის ეროვნულმა სააგენტომ ამ მიმართულებით?**

- „ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ“ შეთანხმების ფარგლებში, ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის პროცესი, ეტაპობრივად, გეგმის მიხედვით მიმდინარეობს. ევროკავშირის სტანდარტების შესაბამისად, შემუშავდა სურსათის ჰიგიენის წესები, სახელმწიფო კონტროლის პროცედურები, ცხოველთა დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიებები, პირუტყვის იდენტიფიკაცია-რეგისტრაციის პროგრამა, შესაფუთი ხის მასალის შესახებ წესები, რამაც საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას უნდა შეუწყოს ხელი. აღნიშნული სტანდარტების შემოღების მთავარი მიზანი სურსათის უვნებლობის უზრუნველყოფა, ქვეყანაში კეთილსაიმედო ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული გარემოს შენარჩუნებაა.

ამასთან, სურსათის ეროვნული სააგენტოს პრიორიტეტი მომხმარებლის ინტერესების დაცვაა. ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა. ამოქმედდა სხვადასხვა რეგულაცია. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად შემუშავდა და ამოქმედდა რძის და თაფლის ტექნიკური რეგლამენტები. მომავალი წლიდან ძალაში შევა ხორბლის ფქვილის ტექნიკური რეგლამენტი, საჯარო განხილვა მიმდინარეობს ჩაის და პურის რეგლამენტებთან დაკავშირებით. აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავს როგორც ადგილობრივი მომხმარებლის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფას, ასევე საქართველოს საექსპორტო პოტენციალის და ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდის ხელშეწყობას.

**- ახალი რეგულაციების პარალელურად, გააქტიურდა სამომხმარებლო ბაზრის, სასწავლო დაწესებულებების და საზოგადოებრივი კვების ობიექტების კონტროლი. როგორია შედეგები და რა ტენდენცია იკვეთება?**

- საზოგადოების მხრიდან სამომხმრებლო ბაზარზე კონტროლის გააქტიურებას დადებითი გამოხმაურება აქვს. მნიშვნელოვანია, რომ სურსათის ეროვნული სააგენტოს ნდობა და ცნობადობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. უამრავი ჩვენი მოქალაქე რეკავს სააგენტოს ცხელ ხაზზე და სხვადასხვა სახის დარღვევაზე გვაწვდის ინფორმაციას. სააგენტოში შემოსული შეტყობინებების რაოდენობა 46% - ით არის გაზრდილი. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ შესაბამისი სამსახურებიდან თითოეულ ასეთ შეტყობინებაზე ოპერატიულად რეაგირებენ. მიგვაჩნია, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მოსახლეობასთან ეფექტიანი კომუნიკაცია და მათი ჩართულობა.

რაც შეეხება ტენდენციას, ერთ საინტერესო გარემოებაზე გავამახვილებ ყურადღებას - ყოველწლიურად ინსპექტირების მაჩვენებელი იზრდება. 2014 წელთან შედარებით, 174 %-ით გაიზარდა დოკუმენტური შემოწმებების მაჩვენებელი, თუმცა, დაჯარიმებების რაოდენობა მცირდება. 2014 წლის 10 თვეში გადამოწმებული ბიზნესოპერატორების 20% დაჯარიმდა. 2015 წლის ანალოგიურ პერიოდში კი, მხოლოდ 10%, რაც ბიზნესოპერატორების ინფორმირებულობის გაზრდამ და სააგენტოს ინსპექტორების საქმიანობის გაუმჯობესებამ განაპირობა. დამეთანხმებით, ეს დადებითი ტენდენციაა, რადგან სააგენტოს თვითმიზანი ბიზნესოპერატორის დაჯარიმება კი არა, მომხმარებლის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფაა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სასწავლო დაწესებულებებში კვების ობიექტების კონტროლს. სასწავლო წლის დაწყებასთან ერთად, მთელი ქვეყნის მასშტაბით განახლდა სასწავლო დაწესებულებების კვების ბლოკების შემოწმების პროცესი. წლის განმავლობაში შემოწმებულია 900 საბავშვო ბაღი და 300-ზე მეტი სკოლის კვების ობიექტი. ვერ ვიტყვით, რომ მდგომარეობა იდეალურია, თუმცა პროგრესი აშკარაა. სხვადასხვა სახის დარღვევა წელსაც აღინიშნება, თუმცა შარშანდელისგან განსხვავებით, არცერთი შემთხვევა არ ყოფილა კრიტიკული. შარშან სააგენტოს სპეციალისტებმა, არსებული დარღვევების გამო, 4 სკოლის კვების ობიექტი დახურეს.

გააქტიურდა მაღალი რისკის სურსათის და ცხოველთა სასაკლაოების კონტროლიც. მიმდინარე წელს 40% -ით გაიზარდა ვეტერინარული ზედამხედველობით, სასაკლაოებზე დაკლული მსხვილფეხა პირუტყვის ხორცის რაოდენობა. ამასთან, ხორცის ბაზარზე გაზრდილი მოთხოვნის გათვალისწინებით და მომხმარებელთა ინტერესების დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია, სასაკლაოებმა შესაბამისი სტანდარტები დააკმაყოფილონ. ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებისა და სამომხმარებლო ბაზრის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფისთვის, 2016 წლიდან, ცხოველთა სასაკლაოებისთვის სავალდებულოა HACCP-ის (საფრთხის ანალიზისა და კრიტიკული საკონტროლო წერტილების სისტემა) დანერგვა, რომელიც საწარმოში შიდა კონტროლის გაძლიერებას და ჰიგიენის სპეციალური მოთხოვნების დაკმაყოფილებას ითვალისწინებს. ამ მიმართულებით სააგენტო აქტიურად მუშაობს ბიზნესოპერატორებთან და სისტემატიურად ხდება მათი ინფორმირება სიახლეების და ახალი რეგულაციების შესახებ.

**- როგორც აღნიშნეთ, ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მოსახლეობის უვნებელი სურსათით უზრუნველყოფაა, თუმცა აღნიშნული მიზნის მიღწევა შეუძლებელია ცხოველეთა ჯანმრთელობის უზრუნველყოფის გარეშე?**

- სურსათის ეროვნული სააგენტო მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის ვაქცინაციას ახორციელებს. უფასო ვაქცინაცია ტარდება ისეთ საშიშ დაავადებებზე, როგორიცაა თურქული, ჯილეხი, ცოფი, ყირიმ-კონგო, ცხვრისა და თხის ყვავილი, ნოდულარული დერმატიტი. სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთად, აქტიურად ვთანამშრომლობთ დონორ ორგანიზაციებთან. მიმდინარე წელს, გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციასთან (FAO) ერთად, ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (OIE) სტანდარტების შესაბამისად მომზადდა ბრუცელოზთან ბრძოლის მრავალწლიანი სტრატეგია, რომელიც კომპლექსურ ღონისძიებებს ითვალისწინებს, ესენია: მსხვილფეხა საქონლის დიაგნოსტიკური გამოკვლევები, მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის პროფილაქტიკური ვაქცინაცია, ვაქცინირებული საქონლის სერომონიტორინგი. სურსათის ეროვნული სააგენტოს მიზანია, მინიმუმამდე შემცირდეს დაავადების გავრცელების

რისკი როგორც ცხოველებში, ასევე ადამიანებში.

ქვეყანაში არსებული ეპიზოოტიური მდგომარეობის ეფექტიანი კონტროლისთვის, მნიშვნელოვანია ცხოველთა აღრიცხვიანობა და მიკვლევადობა. 2012 წლიდან მიმდინარეობს მსხვილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაცია, საყურე ნიშნებით დათაგვა; 2015 წლიდან დაიწყო მონაცემების ერთიან ელექტრონულ ბაზაში განთავსება. უკვე იდენტიფიცირებულია მილიონ ნახევარზე მეტი მსხვილფეხა პირუტყვი. წლის ბოლომდე იგეგმება წვრილფეხა პირუტყვის იდენტიფიკაციის დაწყებაც.

**- ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია მცენარეთა დაცვის შესაბამისი სტანდარტების დაკმაყოფილებაც. რა ღონისძიებებს ახორციელებს სურსათის ეროვნული სააგენტო ამ მიმართულებით?**

ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედოობის შენარჩუნებისთვის მნიშვნელოვანია ის ღონისძიებები, რომლებიც საშიში საკარანტინო მავნებლებების წინააღმდეგ ყოველწლიურად ხორციელდება. წელს იტალიური კალიის საწინააღმდეგო წამლობა განხორციელდა კახეთის, ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის რეგიონებში, დამუშავდა 32 000 ჰა ფართობი, მათ შორის, 4 000 ჰექტარი ავიაციის გამოყენებით. განხორციელებული ღონისძიებების შედეგად, შემცირდა განსაკუთრებით საშიში მავნებლის - თეთრი პეპლის გავრცელების არეალი. წელს მავნებლის წინააღმდეგ 300 ჰა ფართობი დამუშავდა, მაშინ როცა, 2012 წელს 42 000 ჰექტრის დამუშავება გახდა საჭირო. ტრანსმისიური დაავადებების გავრცელების პროგრამის ფარგლებში, კოღოს საწინააღმდეგო ღონისძიებები გატარდა კახეთის, გურიის, სამეგრელოსა და აჭარის რეგიონებში.

უხვი და ხარისხიანი მოსავლის მისაღებად აუცილებელია ქიმიკატების და პესტიციდების სწორად გამოყენება. გამკაცრებული კონტროლის შედეგად, მიმდინარე წელს იკლო ფალსიფიცირებული, ვადაგასული, არარეგისტრირებული ქიმიკატების რეალიზაციის ფაქტებმა და პესტიციდების არაორგანიზებულმა გაყიდვამ. მოწესრიგდა მარკირება, სანიტარიული ნორმები და შენახვის პირობები, თუმცა ჯერ კიდევ არის ერთეული შემთხვევები, როცა ფერმერები ბაზარზე არსებული დაბალი ხარისხის პრეპარატებთან დაკავშირებით გამოთქვამენ უკმაყოფილებას. არის შხამქიმიკატების არასწორად გამოყენების ფაქტებიც, რაც ასევე ზიანს აყენებს მოსავალს. სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტები მზად არიან ფერმერებს კონსულტაცია გაუწიონ რა სახის და რაოდენობის ქიმიკატები გამოიყენონ კონკრეტულ შემთხვევებში. მინდა მოსახლეობამ იცოდეს, რომ ვადაგასული პესტიციდების ან ქიმიკატების რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის შემთხვევაში, დაუკავშირდნენ სურსათის ეროვნულ სააგენტოს ცხელ ხაზზე 2 919168 ან მიმართონ სააგენტოს რეგიონულ წარმომადგენლობებს.

# დღეის მონაცემებით, საქართველოში 1203 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია

**ინტერვიუ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს თავმჯდომარესთან, გიორგი მიშელაძესთან**

სოფლის მეურნეობის განვითარების პროცესში, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის განვითარების ხელშეწყობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. 2013 წლის 12 ივლისს ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ“, რომლითაც დადგინდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შექმნისა და ფუნქციონირების ძირითადი ნორმები. 2013 წლის ოქტომბრიდან კი, ჩამოყალიბდა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სტატუსის მინიჭებას, შეწყვეტას, მონიტორინგსა და სახელმწიფო პროგრამების განხორციელებას უზრუნველყოფს.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი ნებაყოფლობით წევრობაზე დაფუძნებული ორგანიზაციაა, რომლის წევრებიც ეწევიან სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას და საერთო ეკონომიკური ინტერესი აერთიანებთ.

კოოპერაცია სამ ძირითად პრინციპს ემყარება:

- ნებაყოფლობითობა -კოოპერატივში გაერთიანება ნებაყოფლობითია
- დემოკრატიულობა - ერთი წევრი, ერთი ხმა.
- დამოუკიდებლობა - კოოპერატივი არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც წევრების მიერ კონტროლდება.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს საქმიანობის შესახებ სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე საუბრობს.

- **რა არის საჭირო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესაქმნელად და რა შეღავათებით სარგებლობენ სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე კოოპერატივები?**

- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესაქმნელად, მაღალმთიან რეგიონში მინიმუმ 3, ხოლო საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე მინიმუმ 5 ადამიანის საერთო იდეის გარშემო გაერთიანებაა საჭირო. გაერთიანებით დაინტერესებული პირები უნდა დარეგისტრირდნენ საჯარო რეესტრში კოოპერატივის ორგანიზაციული ფორმით, შემდეგ კი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსის მისაღებად განცხადებით მოგვმართონ „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოში“. აქვე აღვნიშნავ, რომ კოოპერატივის წევრი შეიძლება იყოს 18 წელს მიღწეული საქართველოს მოქალაქე, რომელიც უშუალოდ მონაწილეობს ამ კოოპერატივის საქმიანობაში და ფლობს პაის. კოოპერატივის წევრი ასევე შესაძლოა იყოს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი.

  რაც შეეხება შეღავათებს, აღსანიშნავია, რომ მოგების გადასახადით არ იბეგრება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით მიღებული შემოსავალი (პირველადი წარმოება) და გრანტი. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივთან დაკავშირებით არ არის დაწესებული მოგების გადასახადის ზღვარი წლიური ბრუნვის მიხედვით, რომელიც, მაგალითად, შპს-ს შემთხვევაში 200 000 ლარს შეადგენს. ქონების გადასახადით არ იბეგრება კოოპერატივის ქონებაც, რომელიც გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის; არ იბეგრება 5 ჰა-მდე მიწის ფართობი, რომელიც 2004 წლის 31 მარტამდეა შეძენილი, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისთვის ლიზინგით გაცემული მოძრავი ქონება; საშემოსავლო გადასახადით არ იბეგრება კოოპერატივის საქმიანობის ფარგლებში კოოპერატივის წევრების მიერ მიღებული დივიდენდი; სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები სარგებლობენ ყველა იმ საგადასახადო შეღავათებითაც, რომლებიც სოფლის მეურნეობასთან მიმართებაში მოქმედებს.

- **დღეის მონაცემებით, რამდენი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივია რეგისტრირებული საქართველოში?**

- 2015 წლის 12 ნოემბრის მონაცემებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სტატუსი მინიჭებული აქვს 1203 კოოპერატივს. ყველაზე მეტი, 234 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი სამცხე-ჯავახეთშია რეგისტრირებული. რაც შეეხება დანარჩენ რეგიონებს, კახეთში რეგისტრირებულია 93 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, ქვემო ქართლში - 182, მცხეთა-მთიანეთში - 59, შიდა ქართლში - 83, სამეგრელო - ზემო სვანეთში - 103, გურიაში - 65, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში -135, იმერეთში - 112, რაჭა-ლეჩხუმში -100, თბილისში -37. აქვე გეტყვით, რომ კოოპერატივებში გაერთიანებულია 8730 მეპაიე, მათ შორის, 2200 -ზე მეტი ქალბატონია.

ყველაზე დიდი კოოპერატივია „დარჩელის თხილი“, რომელშიც 540 მეპაიეა გაერთიანებული. სახელმწიფო პროგრამის - „თხილის წარმოების განვითარება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ხელშეწყობის გზით“ - ფარგლებში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ დარჩელში აშენდა თხილის საწარმო, რომელიც მოიცავს საშრობსა და სასაწყობო მეურნეობას. საწარმოში შესაძლებელია, ერთდროულად, 24 ტონა ნაჭუჭიანი თხილის გაშრობა და 500 ტონა ნაჭუჭიანი თხილის დასაწყობება. საქართველოს მთავრობის მიერ მიღებულია გადაწყვეტილება საწარმოს კოოპერტივ „დარჩელის თხილისათვის“ გადაცემასთან დაკავშირებით, ხოლო პროგრამით დადგენილი პირობების შესრულების შემთხვევაში, კოოპერატივს უფლება აქვს მოითხოვოს საწარმოო ინფრასტრუქტურის პირდაპირი მიყიდვის წესით მისთვის გადაცემა.

- **სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისთვის განსაზღვრულ გარკვეულ შეღავათებზე უკვე ისაუბრეთ, კიდევ რა პროგრამები ხორცილდება სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციისა და კოოპერატივების ხელშეწყობისათვის ?**

- მიმდინარე პროგრამაა „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამა“, რომელშიც რეგისტრაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებს თბილისში ჩამოუსვლელად, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ვებ-გვერდზე (www.acda.gov.ge) დისტანციურად შეეძლოთ. რეგისტრაციისას პროგრამაში მონაწილეობის მსურველი კოოპერატივი მისთვის სასურველი სკის სახეობას - ხის სკას (რუტი , დადან ბლანტი) ან/და პენოპოლისტიროლს უთითებდა. სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მონაწილე კოოპერატივებს მათ ბალანსზე არსებული სკების იდენტური რაოდენობა (არაუმეტეს 100 ცალი) ღირებულების 30%-ად გადაეცემათ.

სახელმწიფო პროგრამაში მონაწილე კოოპერატივი ვალდებულია, 2017 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს გლობალური სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტის (GLOBAL GAP) დანერგვა კოოპერატივის მფლობელობაში არსებულ საფუტკრე მეურნეობაში, ხოლო 2018 წლის 1 იანვრამდე უზრუნველყოს კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში მიღებულ სკებში ფუტკრის ახალი ოჯახების განთავსება. პროგრამაში მონაწილე კოოპერატივები მიიღებენ ტექნიკურ დახმარებას თაფლის ტექნიკური რეგლამენტის ძირითადი მოთხოვნების დანერგვასთან დაკავშირებით. ტექნიკური მხარდაჭერის ფარგლებში, პროგრამაში მონაწილე კოოპერატივს უფლება აქვს საქართველოს სოფლის მეურნეობის ლაბორატორიაში შესამოწმებლად წარადგინოს მის მიერ წარმოებული თაფლის ერთი ნიმუში უსასყიდლოდ.

კიდევ ერთი პროგრამა, რომელსაც სააგენტო ახორციელებს, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მცირე გაბარიტიანი აგროტექნიკით აღჭურვის პროგრამაა. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მცირეგაბარიტიანი აგროტექნიკის (თითოეულ კომპლექტში შედის მოტობლოკის აგრეგატი, სათიბი, გუთანი, კულტივატორი და ხელის სათესი) კოოპერატივებისთვის შეღავათიან ფასად, 900 ლარად, გადაცემას. დევნილებისა და ეკომიგრანტების მიერ შექმნილ, ასევე მაღალმთიან, სასაზღვრო, თუ გამყოფი ზოლის მიმდებარე სოფლებში რეგისტრირებულ კოოპერატივებს თითო კომპლექტის შესყიდვისას, დამატებით გადაეცათ 1 ხელის სათესი 1 ლარად; 2014 წლის 1 სექტემბრიდან გამოიცა საქართველოს მთავრობის 5 განკარგულება, რომლის ფარგლებშიც, სასოფლო-სამეურნეო სტატუსის მქონე 544 კოოპერატივის განაცხადი დაკმაყოფილდა 1406 აგროკომპლექტითა და დამატებით 217 ხელის სათესით. მინდა აღვნიშნო, რომ მიმდინარე წელს საქართველოს თითქმის ყველა რეგიონის 30-მდე მუნიციპალიტეტში ჩატარდა საგადასახადო კოდექსის პრაქტიკული ტრეინინგი სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისათვის, რომელიც სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ორგანიზებითა და ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. მასში მონაწილეობა კოოპერატივების 400-მდე წარმომადგენელმა მიიღო. ტრეინინგის ფარგლებში; მათ მიიღეს ინფორმაცია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების მიერ განხორციელებული სამეურნეო ოპერაციებიდან წარმოქმნილი გადასახადების, მათი გაანგარიშების, დეკლარირებისა და გადახდის წესების შესახებ; გაეცნენ საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შეღავათებს; შეისწავლეს პირველადი საგადასახადო დოკუმენტაციის შედგენა; სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღრიცხვა-ჩამოწერა და საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხები. აღნიშნულ ტრეინინგს ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ტრენერები უძღვებოდნენ.

- **რას გულისხმობს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის შესახებ კანონში განხორციელებული ცვლილებები?**

- ცვლილებები საქართველოს პარლამენტმა მესამე, საბოლოო მოსმენით მიიღო. კანონში შემოდის დამატებითი საპაიო შენატანისა და კოოპერაციული შემოსავლის ცნებები. დაწესდება შეზღუდვა არაწევრებისგან წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესყიდვასთან და მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, კერძოდ, ერთი საანგარიშო წლის განმავლობაში, არაწევრებისგან მიღებული პროდუქციის/მომსახურების ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს კოოპერატივის წლიური სასოფლო-სამეურნეო სასაქონლო ბრუნვის 30%-ს. ამასთან, განისაზღვრა დივიდენდისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის სარეზერვო ფონდში არსებული თანხის განკარგვის წესები. მეპაიეთა რეესტრის სავალდებულო წარმოების წესი დადგინდება სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით.

ცვლილებები ასევე შედის „მეწარმეთა შესახებ“ და „გრანტის შესახებ“ საქართველოს კანონებში. „გრანტის შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიენიჭება გრანტის გაცემის უფლება. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს კოოპერატივსა და მეპაიეებს შორის წარმოშობილი საწარმოო ურთიერთობების დარეგულირებას, ასევე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის გამართული მოდელის შექმნას..

უნდა გვჯეროდეს ხვალინდელი
დღის და გვიყვარდეს საქმე,
რომელსაც ვაკეთებთ

# ნონა ქოზაშვილი
# შპს „მექანიზატორის“ კომბაინერი

მე, ნონა ქოზაშვილი, ახალციხის რაიონის სოფელ „ფერსაში“ ვცხოვრობ. განათლებით აგრონომ-ტექნოლოგი ვარ. მედდის პროფესიასაც დავეუფლე. დედა მყავს სამედიცინო დარგის მუშაკი და მინდოდა მეც მედიცინის სამსახურში ვყოფილიყავი, სამწუხაროდ, სამსახური ვერ ვიპოვე. ცდა არ დამიკლია, უამრავ ადგილას ვეძებდი, მაგრამ არ გამიმართლა. მიუხედავად არაერთი წარუმატებელი ცდისა, ფარ-ხმალი არ დამიყრია. მარტოხელა დედა ვარ და უფლება არ მქონდა ხელი ჩამექნია. არ გავტყდი, არ დავეცი, ყოველთვის წინ ვიყურები და უკან დახევა არ მჩვევია, რაც სიძნელეების გადალახვაში მეხმარება.. და ალბათ სწორედ ამიტომ დღეს შპს „მექანიზატორის“ კომბაინერი ვარ.

როგორ მოხვდი შპს „მექანიზატორში“?

ერთ-ერთ ინტერნეტ გამოცემაში წავიკითხე, რომ მთელი საქართველოს მასშტაბით შპს „მექანიზატორის“ სერვისცენტრები იხსნებოდა. გამოცხადდა ვაკანსიები, მივედი გასაუბრებაზე, ოფისის მენეჯერის პოზიციის დაკავება მინდოდა. სამწუხაროდ, ამ პოზიციაზე ვერ მოვხვდი, მაგრამ,... კომპანია „მექანიზატორი“ კომბაინების შეძენას აპირებდა,.. გავიარე ყველა საჭირო პროცედურა, ტრეინინგები და გავხდი კომბაინერი. მართალია დედასავით მედიცინის დარგის მუშაკი ვერ გავხდი, მაგრამ გარდაცვლილი მამის გზა გავაგრძელე, რომელიც პროფესიით მექანიზატორი იყო და წლების განმავლობაში სოფლის მეურნეობის დარგს ემსახურებოდა. დღევანდელი გადმოსახედიდან ვთვლი, რომ სწორი არჩევანი გავაკეთე, ბევრი ჩემი თანამემამულის მსგვასად, სამსახურის საძებნელად სამშობლოდან შორის არ წავედი, დავრჩი აქ და დღეს, ერთი შეხედვით, ქალისთვის შეუფერებელი, მაგრამ დასაფასებელი და საინტერესო საქმით ვარ დაკავებული... დღეს შპს „მექანიზატორის“ თანამშრომელი ვარ.

უკვე 4 წელია კომბაინის ოპერატორად ვმუშაობ. საწყის ეტაპზე ადვილი ნამდვილად არ იყო, მაგრამ ეს სირთულეებიც დავძლიე. თავიდან საჭესაც კი ვერ ვფლობდი თავდაჯერებულად, რადგან კომბაინის მართვის სპეციფიკა სრულიად განსხვავებულია. თუმცა, მოვინდომე და მალე დავეუფლე კომბაინის მართვას, ჩემს კოლეგებს სტაჟიანი კომბაინერიც კი ვეგონე (იცინის). თავიდან ფერმერები და გლეხებიც კი ეჭვის თვალით მიყურებდნენ, მაგრამ ძალიან მალე ეს სტერეოტიპი დავამსხვრიე, ყველა დარწმუნდა, რომ მნიშვნელობა არ აქვს ქალი ხარ თუ კაცი, მთავარია შენი საქმე იცოდე და გიყვარდეს. მთელ გულსა და სულს ვდებ ჩემს საქმეში, თამამად შემიძლია ვთქვა, რომ პროფესიულ დონეზე ვასრულებ ჩემზე დაკისრებულ სამუშაოს. როგორც ქალი, არასდროს ვსარგებლობ პრივილეგიებით. წელს კახეთის რეგიონში ვიყავი მივლინებით, სადაც ღამის 2 საათამდეც კი მიმუშავია იმისათვის, რომ მოსახლეობას არ დაგვიანებოდა მოსავლის აღება და დაბინავება.

სადაც არ უნდა ვიყო, იქნება ეს სამუშაო კაბინეტი თუ კომბაინის კაბინა, არასოდეს მავიწყდება, რომ ქალი ვარ და, შესაბამისად, ყოველთვის მოწესრიგებული უნდა ვიყო, მიუხედავად იმისა, რომ, არც თუ იშვიათად, კომბაინის დასუფთავება და მარტივი ტექნიკური ნაწილების შეცვლაც კი მიწევს.

მინდა ყველა ქალბატონს უფლის წყალობა ვუსურვო. უპრობლემო ცხოვრება არ არსებობს. არასდროს უნდა ჩამოვუშვათ ხელები, გვჯეროდეს ხვალინდელი დღის და გვიყვარდეს ის საქმე, რომელსაც ვაკეთებთ.

ნონა ქოზაშვილს 2 ნოემბერს 39 წელი შეუსრულდა.

ჯანმრთელობას, წარმატებასა და წინსვლას ვუსურვებთ ქალბატონ ნონას!

## ქართული ღვინის წარმატება ჰონგ-კონგის საერთაშორისო გამოფენაზე

ჰონგ-კონგის ღვინისა და სპირტიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაზე - „HK-TDC - Hong Kong International Wine and Spirits Fair 2015” - კომპანიის „კახური ღვინის მარანი“ ღვინომ „საფერავი 2011“ ორი უმაღლესი ჯილდო - გრანპრი ნომინაციაში „საუკეთესო რეგიონალური ღვინო აღმოსავლეთ ევროპაში“ და ოქროს მედალი მოიპოვა. ბრინჯაოს მედლით დაჯილდოვდა ამავე კომპანიის ღვინო „მუკუზანი 2011“.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის, ლევან დავითაშვილის განცხადებით, ქართული ღვინის საერთაშორისო ბაზარზე პოპულარიზაციისთვის უმნიშვნელოვანესია მაღალი კლასის საერთაშორისო გამოფენებში მონაწილეობა და გამარჯვება.

„ჩვენ აქტიურად ვმუშაობთ ახალი ბაზრების დივერსიფიკაციის მიმართულებით, რისთვისაც უმნიშვნელოვანესია ქართული პროდუქციის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია. ქართულ პროდუქციას და, გამორჩეულად ქართულ ღვინოს აქვს პოტენციალი ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს მსოფლიო ბაზარზე. ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ აქტიურად ხორცილდება ღვინის ხარისხის კონტროლი, რაც მინიმუმამდე ამცირებს ფალსიფიკაციას და უხარსიხო პროდუქციის მოხვდრის შესაძლებლობას როგორ ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე“, - განაცხადა ლევან დავითაშვილმა.


## აგროგამოფენა

სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის,
გადამამუშავებელი და შემფუთველი
ტექნოლოგიების მე–15 საერთაშორისო გამოფენა

15th International Exhibition for Agro, Food and Drink
Products, Packaging and Processing Equipment

agro/food/drink/tech
e x p o

18-20 ნოემბერი November 2015

პავილიონები 5,6,11 და გარე სივრცე, 11:00-18:00
Hall 5,6,11 and Outdoor Space, 11:00-18:00

თბილისი, საქართველო
Tbilisi, Georgia

გამოფენების ცენტრი "ექსპო ჯორჯია"
ა.წერეთლის გამზ. 118, თბილისი

Exhibition Center ExpoGeorgia
118 A.Tsereteli Ave., Tbilisi

Tel: 995 32 2341100

www.agroexpo.ge

ორგანიზატორი: Organized by: Expo Georgia Since 1958
მხარდამჭერი: Supporter: ENPARD
თურქეთის ნაციონალური მონაწილეობა: Turkish National Participation: TÜYAP
მედია მხარდამჭერი: Media Partner: to be on top BUSINESS GEORGIA

# ფეიჰოას აგროტექნოლოგია

## კულტურის ზოგადი დახასიათება

ფეიჰოა (Feijoa sellowiana) საუკეთესო ხარისხის, გემრიელსა და არომატულ ნაყოფს იძლევა, რომელიც გამოიყენება როგორც ნედლი ასევე დაკონსერვებული სახით. ფეიჰოას ნაყოფი შეიცავს ორგანიზმისათვის ადვილად შესათვისებელ იოდს, რაც მას განსაკუთრებულ სამკურნალო თვისებებს ანიჭებს. ფეიჰოას მწიფე ნაყოფი შეიცავს: მშრალ ნივთიერებას 30.7-40.3%, შაქრებს 8.212.5%, სიმჟავეს 2.3-3.1%.

ფეიჰოას სამშობლო სამხრეთ ამერიკაა (ბრაზილია, პარაგვაი, ურუგვაი, არგენტინა), სადაც ის ტროპიკულ ტყეებში მარადმწვანე ბუჩქებად იზრდება. საქართველოში ის 1900 წელს შემოიტანეს და დარგეს სოხუმის და ბათუმის ბოტანიკურ ბაღებში.

ფეიჰოა საკმაოდ ყინვაგამძლე და გვალვაგამძლე მცენარეა. ვერ იტანს ზაფხულის გახანგძლივებულ ნალექებსა და მაღალ შეფარდებით ტენიანობას, განსაკუთრებით ყვავილობის პროცესში(ივნისი-ივლისი). ასეთ შემთხვევაში აქტიურად ვითარდება ყვავილებისა და ნასკვების ნაცრისფერი სიდამპლე, რის გამოც ადგილი აქვს ნასკვების მასიურ ცვენას. საქართველოში

ფეიჰოასათვის საუკეთესო აგროკლიმატურ ზონად აფხაზეთი, სამეგრელო და კოლხეთის დაბლობის (აბაშა, სენაკი, ლანჩხუთი, ფოთი, ხობი) რეგიონები მოიაზრება. რაც შეეხება აჭარა-გურიის რეგიონებს აქ ფეიჰოას ზრდისთვის ყველაზე კარგი პირობებია, თუმცა მაღალი ტენიანობის გამო, ზოგიერთ წლებში მსხმოიარობა დაბალია, თუ დროზე არ ჩატარდა ყვავილების ლპობის საწინააღმდეგო ბრძოლის ქიმიური ღონისძიებები.

ამჟამად კულტურაში გვხვდება ფეიჰოას შემდეგი ფრანგული ჯიშები: ანდრე, ბესონი, პერე. კალიფორნიული ჯიშებიდან ჩვენში გავრცელდა: ჩოისეანა, სუპერმა და კულიჯი. ეს ჯიშები სელექციურია.

**ფეიჰოას ჯიშობრივი შემადგენლობის აუცილებრივ ცოდნას ფერმერებისათვის აქვს შემდეგი დატვირთვა:**

1. მათ საკარმიდამო ნაკვეთებზე გააშენონ მხოლოდ მაღალმოსავლიანი, უხვადმსხმოიარე მცენარეები.
2. ნაყოფის სიმწიფის პერიოდების მიხედვით გასაშენებლად შეარჩიონ როგორც საადრეო, ისე საგვიანო ჯიშები.
3. მცენარეთა დამტვერიანების თავისებურებებიდან გამომდინარე სწორად შეარჩიონ თვითდამამტვერიანებელი ჯიშები, ხოლო ჯვარედინდამამტვერიანებელი ჯიშების შემთხვევაში გაითვალისწინონ ნარგაობაში დამამტვერიანებელი ჯიშების დარგვა.

**ფეიჰოას გამრავლება არსებობს ფეიჰოას გამრავლების ორი წესი:** გენერაციული (თესლით) და ვეგეტატიური (კალმებით, გადაწვენით). გამრავლების ყველაზე ადვილ წესად მიჩნეულია თესლით გამრავლება.

თესლით გამრავლებისას წინასწარ ორი-სამი წლით ადრე შეირჩევა მაღალმოსავლიანი, კარგი კომერციული ნიშანთვისებების მქონე სადედე ხეები, რომლებიც თვითდამტვერვით მსხმოიარობენ. სადედე ხეებიდან ნაყოფებს იღებენ სრული სიმწიფის სტადიაში. უმჯობესია თავისთავად ჩამოცვენილი მსხვილი ნაყოფები. შეგროვლ ნაყოფებს ათავსებენ სარდაფში 10-15 დღით, თესლის კარგად მომწიფების მიზნით. თესლის დასამზადებლად ნაყოფი იჭრება სიგრძეზე, რბილობიდან ფრთხილად იღებენ თესლის მასას და ათავსებენ მინის ქილაში. ასხამენ სუფთა წყალს და ტოვებენ 5-7 დღის განმავლობაში დუღილის დაწყებამდე. ადუღებულ მასას ურევენ მინის წკირს სანამ თესლი არ გამონთავისუფლდება რბილობის ძირითადი მასისაგან.

## ფეიჰოას თესლნერგების გამოყვანა

თესლნერგები გამოყავთ ორანჟერიაში ან კვალსათბურში. ორანჟერიაში თესლი ითესება ხის ყუთებში (70x70 15სმ), ყუთების ფსკერზე იყრება ქვიშა დრენაჟისთვის 2-3სმ. სისქით, შემდეგ კი ყუთები ივსება ნიადაგის ხელოვნური ნარევით. სუბსტრატად იყენებენ წითელმიწა ან ალუვიური ტიპის ნიადაგს, გადამწვარ ნაკელს და მდინარის სილას 2:1:1-ზე შეფარდებით. დასათესად გამზადებულ ყუთებში ყოველი 4-5 სმ-ის დაცილებით გაყავთ 2-3 მმ. სიღრმის კვლები. კვლებში ყოველ 1სმ-ზე ითესება თესლი. ზემოდან ეყრება 2-3მმ-სისქით გაცრილი მიწა, ფრთხილად იტკეპნება და ირწყვება პულვერიზატორით. ორანჟერიებში თესლის თესვის ვადაა 15 დეკემბრიდან 1 თებერვლამდე, კვალსათბურებში 15 მარტიდან 5 აპრილამდე. თესლის კარგად აღმოცენების მისაღებად ორანჟერიაში და კვალსათბურებში ჰაერის ტემპერატურა უნდა იყოს 22-25$^0$C, აღმოცენების პერიოდი გრძელდება 20-25 დღეს, აღმოცენების უნარი 50-60% შეადგენს.

გადარგვის დროს ფეიჰოას ნათესარის ფესვი 1/3-ით იკვეცება და პარკში ფრთხილად ირგვება 10-12 სმ-ის სიღრმეზე. გადარგვის შემდეგ ტარდება მორწყვა. ზრდის დაწყებამდე მიზანშეწონილია ნერგების დაჩრდილვა მზის აწვისაგან დასაცავად. გახაფხულზაფხულის პერიოდში თესლნერგები 3-4 ჯერ ირწყვება ამონიუმის გვარჯილის 0.3-0.5%-იანი ხსნარით. აზოტიანი წყალხსნარით მორწყვის შემდეგ ხდება მცენარეების სუფთა წყლით ხანმოკლე მორწყვა.

ვეგეტატიური გამრავლება ფეიჰოას მაღალმოსავლიანი ერთგვაროვანი პლანტაციების მისაღებად მიმართავენ ვეგეტატიურ გამრავლებას მწვანე კალმების დაფესვიანებით. კალმების აჭრის ოპტიმალური ვადა 15 აგვისტოდან 15 სექტემბრამდეა. კალმებს ჭრიან 8-10 სმ. სიგრძის 5-6მმ. სიმსხოს 2 ზედა ფოთლით. დაკალმება წარმოებს ორანჟერიებში ან კვალსათბურებში. სუბსტრატად ვარგისია წითელმიწა ნიადაგისა და ფრეზირებული ტორფის ნარევი 3:1 თან შეფარდებით. გადასახურად უმჯობესია რძისებრი პოლიეთილენის ფირი. დაკალმება ხდება რიგთაშორის 10სმ. ხოლო რიგში კალმებს შორის 4-5სმ. დაშორებით, 3-4სმ. სიღრმეზე. დაფესვიანების ოპტიმალურ ტემპერატურას წარმოადგენს : გრუნტში 20-22$^0$C, კარკასის შიგნით ჰაერში 23-24$^0$C. მორწყვა ტარდება პულივიზატორით, ფოთლების შენამვამდე. დაუშვებელია კალმების ჭარბი მორწყვა, ასევე დაუშვებელია ნიადაგის სუბსტრატის გამოშრობა. მეორე წლის შემოდგომაზე ფეიჰოას დაფესვიანებული ნერგი აღწევს 35-45 სმ. სიმაღლეს და ვარგისია მუდმივ ადგილზე დასარგავად.

ნერგებით პლანტაციის გაშენება შესაძლებელია შემოდგომაზე 15 სექტემბრიდან ნოემბრის ბოლომდე, გაზაფხულზე პირველი მარტიდან აპრილის ბოლომდე.

პლანტაციის გაშენების მეორე წელს უნდა ჩატარდეს დაღუპული, ან მექანიკურად ძლიერ დაზიანებული მცენარეების ახლით შეცვლა იგივე ჯიშებით.

## ფეიჰოას პლანტაციის განოყიერება

ორგანული სასუქებიდან სრულმსხმოიარე ნარგაობაში შეიტანება ნაკელი და ტორფკომპოსტი 20-40კგ ერთ ხეზე. მინერალური სასუქებიდან გამოიყენება აზოტმჟავა ამონიუმი (გვარჯილა) 33-34%, გოგირდმჟავა ამონიუმი (21-22%) და კალიუმის მარილი (35-40%).

ფოსფორიანი და კალიუმიანი სასუქები შეიტანება ნარევის სახით შესაბამისი დოზების დაცვით, შეტანა ხდება შემოდგომით, ან ადრე გაზაფხულზე, შტამბის ირგვლივ მსუბუქი გადაბარვის დროს.

აზოტიანი სასუქები შეიტანება ორ ვადაში: 60% გაზაფხულზე გადაბარვისთანავე, ხოლო 40% ყვავილობის შემდეგ არა უგვიანეს 10-15 ივლისისა.

## ფეიჰოას მავნებლები, დაავადებები და მათ წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებები

ნერგების წარმოების პროცესში სასათბურე პირობებში აღმონაცენებს აზიანებს: მახრა, ხვატარი, ნემატოდა, თრიფსი, ღრაჯა, ბუგრები. დაავადებებიდან განსაკუთრებით საშიშია სამხრეთული სკლეროციული სიდამპლე, რომლის სოკო მიცელიუმი იჭრება ნათესარის ქსოვილებში და იწვევს ფესვის ყელის ლპობას. ასევე ფუზარიოზი ჭარბი ტენისა და მაღალი მჟავიანობის პირობებში იწვევს ნერგების ფესვებისა და კალმებზე წარმოქმნილი კალიუსის ლპობას.

მავნებლების წინააღმდეგ სანერგეში თესვისა და კალმების დარგვის წინ აწარმოებენ პექსაქლორანის შეტანას 5-8სმ სიღრმეზე. ფიტოპათოგენური სოკოორგანიზმების წინააღმდეგ კი საჭიროა ნიადაგის წინასწარ დეზინფექცია 2-3%იანი კარბატიონის სამუშაო ხსნარით.

ნაყოფმსხმოიარე ფეიჰოას პლანტაციებში მავნებლებიდან გვხვდება აბლაბუდიანი და ბეწვიანი ტკიპა, ფარიანები და ცრუფარიანები, ავადმყოფობებიდან: ყვავილებისა და ნასკვების ნაცრისფერი სიდამპლე, ფოთლების ყავისფერი და ნაცრისფერი ლაქიანობა. მავნებელ დაავადებათა წინააღმდეგ საჭიროა სანიტარულჰიგიენური და პროფილაქტიკური ღონისძიებების ჩატარება. ბრძოლის ქიმიური მეთოდებიდან გამოიყენება სპილენძის ქლორჟანგის 0.4%-იანი ან სილსაქსილის სამუშაო ხსნარით შეწამვლა ვეგეტაციის დაწყებამდე და ნაყოფების გამონასკვის შემდეგ.

ნაყოფის კრეფა და რეალიზაცია ფეიჰოას პლანტაცია მსხმოიარობაში შედის გაშენების მეოთხე, მეხუთე წელს, ნაყოფი მწიფდება ოქტომბერ-ნოემბერში და მომწიფებისთანავე იწყებს ჩამოცვენას. ფეიჰოას ნაყოფი ვერ ეგუება შენახვას, თუმცა სპეციალურ სამაცივრო დანადგარების პირობებში, მისი შენახვის პერიოდი შესაძლებელია გახანგრძლივდეს.

საქართველო, თბილისი, 0159, მარშალ გელოვანის გამზ. №6 ელ–ფოსტა: infomoa@moa.gov.ge ცხელი ხაზი(+995 32) 247 01 01